585/2
1986

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 13

1986

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.344


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 13 (496) დეკემბერი 1986 წელი


## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


308. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 26-ე მუხლის გამოყენების წესის თაობაზე.

309. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

310. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ნ. სულაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

311. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

312. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ლანჩხუთის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის თაობაზე.

313. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

314. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. შ. დევნოზაშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

315. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

316. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კინოსტუდია „ქართული ფილმის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

317. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. დ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

318. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. დ. ცაგარეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

319. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. გაჩეჩილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

320. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ფ. მიქელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

321. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. უ. ბანდურიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

322. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ფ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

323. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

324. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. კობაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

325. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობის წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

326. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელი წყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

327. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელი წყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

328. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ა. ბაბუნაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

329. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. შ. გიორგობიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

330. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. კ. ინანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

331. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. პ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

332. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

333. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. ანანიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

334. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

335. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

336. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

337. საქართველოს სსრ უმაღლესი საჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ი. გვარიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

338. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. კლიმიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

339. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. პ. ხაჟომიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

340. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. შ. თოფურიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

341. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უმაღლესი განათლების სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

342. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. გ. ავალიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

343. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

344. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ზ. კაზიევისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ანბანურ-საგნობრივი საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 308 სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 26-ე მუხლის გამოყენების წესის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ 1986 წლის 29 ნოემბრის რედაქციით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1986 წ., № 12, მუხ. 283) 26-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე გადასვლა ხორციელდება თანდათან, საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 დეკემბერი.
№ 994—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 309 „სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის ახალი რედაქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 17 ივლისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 7, მუხ. 149) შემდეგი ცვლილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე მუხლში ციფრები „39“ და „40“ შესაბამისად შეიცვალოს ციფრებით „43“ და „44“;

მეხუთე მუხლში ციფრი „72“ შეიცვალოს ციფრით „76“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 დეკემბერი.

№ 995—XI

## 310 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ნ. სულაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ნიკოლოზის ძე სულაძე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 17 დეკემბერი.

№ 1022—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 311 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინების წესის რამდენადმე შეცვლის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში.

1. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1970 წ., № 6, მუხ. 96):

1) 72-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანი შვილებისათვის მშობლებს ალიმენტი გადახდებათ შემდეგი ოდენობით: ერთ ბავშვზე — მშობელთა ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორ ბავშვზე — ერთი მესამედი, სამ და მეტ ბავშვზე — ნახევარი, მაგრამ არანაკლებ 20 მანეთისა თვეში თითოეულ ბავშვზე.

ამ წილთა და ალიმენტთა მინიმალური ოდენობა სასამართლოს შეუძლია შეამციროს, თუ მშობელს, რომელიც მოვალეა იხდიდეს ალიმენტს, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია, ანდა თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ, ან სხვა საპატიო მიზეზების არსებობისას";

2) 95-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განცხადების საფუძველზე ალიმენტის დაკავება შეიძლება იმ შემთხვევებშიც, თუ საერთო თანხა, რომელიც დაკავებულ უნდა იქნეს განცხადების და სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე, აღემატება მოვალის კუთვნილი ხელფასის და მასთან გათანაბრებული გასასახდელების და გასაცემების 50 პროცენტს, აგრეთვე, თუ მოვალე სასამართლოს გადაწყვეტილების ან სახალხო მოსამართლის დადგენილების საფუძველზე შვილებისათვის ალიმენტს უხდის სხვა დედას".

2. საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1983 წ., № 11, მუხ. 370; 1986 წ., № 6, მუხ. 140) 125-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „გამასწორებელი სამუშაოების მოხდისას" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინებისას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1971 წ., № 12, მუხ. 202) 52-ე მუხლს მესამე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული წესი იმ მსჯავრდებულებისათვის პირად ანგარიშზე დარიცხული ხელფასის წილის შენარჩუნების შესახებ, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებში, საპყრობილეებსა და შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში, არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არასრულწლოვანი შვილებისათვის იხდიან ალიმენტს“.

მეოთხე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთე ნაწილად.

4. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1964 წ., № 36, მუხ. 662) 398-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„ხელფასიდან და მასთან გათანაბრებული გადასახდელიდან და გასაცემიდან ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილი დაქვითვების ოდენობის შეზღუდვები არ ვრცელდება არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინებისას“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 19 დეკემბერი.

№ 1030—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 312 „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ლანჩხუთის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მოისმინა რა ლანჩხუთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. თ. ა. გუგუნავას მოხსენება, აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის რაიონის ადგილობრივმა საბჭოებმა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად გარკვეულად გააქტიურეს მუშაობა ნეგატიური მოვლენებისა და მათ შორის უშრომელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობათა აღმოფხვრისათვის. მაგრამ ამ მუშაობის ორგანიზაციული დონე და ქმედითობა ვერ უპასუხებს „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებს. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა რაიონში მიმდინარეობს უსისტემოდ, კამპანიურად, უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებით, მასში სუსტად არიან ჩაბმული ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები, დეპუტატთა ჯგუფები, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები; ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებზე დაბალია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანების განხილვის დონე, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განხილვა ხშირად არ უკავშირდება ამა თუ იმ შრომითს კოლექტივში საქმის მდგომარეობას, არ წარმოებს კონკრეტულ პირთა მხილება, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გეგმები მოკლებულია კონკრეტულობას.

რაიონში სუსტად წყდება ამოცანები უშრომელი შემოსავლის წარმომშობი მიზეზების აღკვეთისათვის სათანადო ეკონომიკური და სოციალური პირობების შესაქმნელად; ეფექტიანი არ არის საქმიანობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სავაჭრო მომსახურების გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მომსახურების სფეროს დარგებში სისტემატურად არ სრულდება გეგმები, უხეშად ირღვევა დისციპლინა, კვლავ ხშირია მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები და სხვა ნეგატიური გამოვლინებები.

სერიოზული ნაკლოვანებებია აღრიცხვა-ანგარიშგებისა და კონტროლის ორგანიზაციაში. ამის შედეგად ადგილი აქვს დიდი რაოდენობის ფულადი და მატერიალური სახსრების უყაირათოდ ხარჯვას, მათს არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, დატაცება-განიავებას; ხშირია მიწერებისა და თვალისახვევის ფაქტები, წვრილმანი დატაცებები; სამრეწველო საწარმოებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში დიდია მატერიალური ზარალი, ზოგიერთ საწარმოში მძიმე ფინანსური მდგომარეობაა.

ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები, დეპუტატები სუსტად იბრძვიან ფარული კერძო რეწვის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევების წინააღმდეგ. სასოფლო საბჭოებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების უპრინციპობითა და უკონტროლობით, რიგ შემთხვევებში ხელის შეწყობითაც კი, უკანასკნელ წლებში რაიონში მომრავლდნენ კერძომესაკუთრულ მიდრეკილებათა მქონე ადამიანები, ისინი იტაცებენ სახელმწიფო მიწის ნაკვეთებს, იყენებენ პირადი გამდიდრებისათვის; ყოველგვარი ნორმებისა და წესების დარღვევით აშენებენ საცხოვრებელ სახლებს, იძენენ სათბურებისა და ორანჟერეების მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, უკანონო გზებით შოულობენ მარაგნაწილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასლეებსა და საწვავს, იტაცებენ ელექტროენერგიას, რითაც სოფელს, რაიონს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ დიდ მორალურ ზიანსაც აყენებენ.

საგრძნობლად გაუარესდა ოპერატიული ვითარება, გაიზარდა დანაშაულობათა, მათ შორის ანგარებით დანაშაულობათა რიცხვი. ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოები ძირითადად კმაყოფილდებიან წვრილმან დანაშაულთა გამოვლენით, სათანადოდ არ იბრძვიან ჯგუფური დატაცებების, გამოძალვისა და მექრთამეობის წინააღმდეგ, არ ეწევიან აქტიურ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ მუშაობას.

არ არის უზრუნველყოფილი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება; ბევრი შრომისუნარიანი მოქალაქე მხოლოდ პირად დამხმარე მეურნეობაშია დასაქმებული; არ მიმდინარეობს სისტემატური მუშაობა მუქთახორობისა და მაწანწალობის აღსაკვეთად; უფრო მეტიც, მოხეტიალე, პარაზიტული ელემენტები ზოგჯერ თავშესაფარს პოულობენ ცალკეულ ოჯახებში, სადაც ისინი პირად დამხმარე მეურნეობაში დაქირავებით შრომობენ.

ზემოაღნიშნული დარღვევები და ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები, მათი აღმასკომები ნელა გარდაქმნიან მუშაობას, ჯერ კიდევ ვერ შეძლეს უკუეგდოთ საქმიანობის მოძველებული ფორმები და მეთოდები, ვერ დაძლიეს ზერელობა, ფორმალიზმი და არაკონკრეტულობა ორგანიზაციულ-მასობრივსა და აღმზრდელობით საქმიანობაში.

საბჭოები, მათი აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობას, აქტიურად არ აბამენ მათ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, უშრომელი შემოსავლისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიმდინარე წლის პირველი ნოემბრისათვის რაიონში დეპუტატთა სულ 5 საწარმოო და ერთი ტერიტორიული ჯგუფი იყო შექმნილი 25 დეპუტატისაგან. რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების 599 დეპუტატიდან მხოლოდ 4,2 პროცენტია გაერთიანებული დეპუტატთა ჯგუფებში, დეპუტატთა საგუშაგო კი საერთოდ არ არსებობს. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულიად უგულებელყოფილია საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების შესაძლებლობანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონში წლების განმავლობაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საბჭოთა და სამეურნეო კადრების შერჩევასა და განაწილებას, მათთან სისტემატურ მუშაობას. უფრო მეტიც, ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც ლმობიერებასა და შემწყნარებლობას იჩენდნენ იმათ მიმართ, ვინც ბოროტად იყენებდა თანამდებობრივ მდგომარეობას, სჩადიოდა უკანონობას და უგულებელყოფდა სახელმწიფო ინტერესებს. მაგალითად, სუფსის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე რ. მექვაბიშვილი, რომლის უშუალო ხელშეწყობითა და უკონტროლობით ბევრმა მოქალაქემ უკანონოდ მიიღო ან მიიტაცა სახელმწიფო მიწის ნაკვეთები, უხეშად დაარღვია ინდივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუალური ბინათმშენებლობის წესები, ჯერ ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დააწინაურეს, შემდეგ კი სოფ. ლესის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ლანჩხუთის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობა „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

2. დაევალოს ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. თ. ა. გუგუნავა):

— ღრმად გააანალიზოს რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის სტილი და მეთოდები, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული ვითარება და რაიონული საბჭოს უახლოეს სესიას განსახილველად წარუდგინოს ამ მიმართულებით მუშაობის ძირეული გარდაქმნის კონკრეტული, ყოველმხრივ დასაბუთებული ღონისძიებები; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს უშრომელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობათა აღკვეთაში ადგილობრივი საბჭოების, დეპუტატთა ფორმირებების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების როლის ამაღლებას;

— გულმოდგინედ შეისწავლოს უშრომელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობათა წარმომშობი მიზეზები და გარემოებები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, იზრუნოს მათი აღმოფხვრის სათანადო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნისათვის, განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობაზე, მიაღწიოს მის სისტემატურობასა და კომპლექსურობას, გაამწვაოს მისი შემტევი ხასიათი;

— აამაღლოს ადგილობრივი საბჭოების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების როლი და პასუხისმგებლობა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიის რეჟიმის განმტკიცების, პირველადი აღრიცხვისა და საკონტროლო საქმიანობის სრულყოფისათვის; აქტიურად ჩააბას ისინი შრომითი შემოსავლის პრესტიჟულობის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების, ადამიანის გონივრულ მოთხოვნილებათა პროპაგანდისა და დამკვიდრებისათვის მუშაობაში, მუქთახორობისადმი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნაში, მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, სამართლებრივ აღზრდაში;

— უკომპრომისო ბრძოლა აწარმოოს სამეურნეო და სამართალდამცველი ორგანოების იმ მუშაკთა მიმართ, რომელთა დაუდევრობით, დანაშაულებრივი გულგრილობითა და უკონტროლობით ხელშემწყობი პირობები იქმნება დატაცების, გამოძალვის, სპეკულაციის, მექრთამეობის, ფარული კერძო რეწვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევების, მიწერებისა და თვალთმ-ახვევის, მომხმარებელთა მოტყუების, თანამდებობის ბოროტად, ანგარებითი მიზნით გამოყენებისა და უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა ფორმების ფართოდ გავრცელებისათვის.

გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის ბოლოსათვის.

3. რესპუბლიკის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა შეამოწმონ „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად ლანჩხუთის რაიონში მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობა და შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის 1 სექტემბრისათვის.

4. ეს დადგენილება და საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი დაეგზავნოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და დაევალოთ მათ განიხილონ ისინი და მიიღონ გადამჭრელი ზომები „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, თითოეული დეპუტატის, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების როლის ამაღლებისათვის; სისტემატურად იზრუნონ, რომ რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატები, მათი ოჯახების წევრები იძლეოდნენ დადებით პირად მაგალითს უშრომელი შემოსავლის ყოველგვარი ფორმის უარყოფასა და უკუგდებაში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობისათვის გონივრული მოთხოვნილებების, შრომის სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვას; აამაღლონ ოჯახების, მშობლების როლი და პასუხისმგებლობა ახალგაზრდა თაობის იდეურ-ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 25 დეკემბერი.
№ 1046—XI

პარლამენტის ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 313 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1987 წლის 24 იანვარს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 29 დეკემბერი.
№ 1052—XI

### განყოფილება მეორე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 314 ამხ. ე. შ. დევნოზაშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი ინსპექტორი ამხ. ემზარ შალვას ძე **დევნოზაშვილი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 12 დეკემბერი.
№ 1007—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 315 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, ფსიქიატრიის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, მაღალკვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიციურ სპეციალისტთა მომზადებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ზ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 დეკემბერი.
№ 996—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 316 კინოსტუდია „ქართული ფილმის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ქართული კინოს განვითარებაში წვლილისათვის და ქართული მხატვრული მულტიპლიკაციური კინემატოგრაფის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით **კინოსტუდია „ქართული ფილმი"** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 დეკემბერი.
№ 999—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 317 ამხ. რ. დ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის“ დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი რევაზ დავითის ძე **ჩხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 დეკემბერი.
№997—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 318 ამხ. შ. დ. ცაგარეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წევრი ამხ. შალვა დავითის ძე **ცაგარეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 დეკემბერი.
№ 998—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 319 ამხ. გ. ს. ბაჩეჩილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქარხანაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, შრომაში მაღალი მიღწევებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სარემონტო-მე-

ქანიკური საამქროს ხარატი ამხ. გივი სერგოს ძე **გაჩეჩილაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 8 დეკემბერი.
№ 1001—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 320 ამხ. ჯ. ფ. მიქელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ფრიდონის ძე **მიქელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 8 დეკემბერი.
№ 1000—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 321 ამხ. გ. უ. ბანდურიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ამხ. გელამ უსიკოს ძე **ბანდურიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.
№ 1009—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 322 ამხ. შ. ფ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ამხ. შალვა ფარსადანის ძე **სანაკოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 დეკემბერი.
№ 1024—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 323 წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 19 დეკემბერი.
№ 1027—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 324 ამხ. ა. ა. კობაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. არსენ ალექსის ძე **კობაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 19 დეკემბერი.
№ 1028—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 325 წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობის წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**კიმოსთელი** იოსებ ნიკოლოზის ძე — ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირი.

**ყივიძე** მარო სანდროს ასული — კოლმეურნეობის კოლმეურნე.

**შავერდაშვილი** ვასილ სიმონის ძე — კოლმეურნეობის კოლმეურნე.

**წიკლაური** ნატო დავითის ასული — კოლმეურნეობის ყოფილი კოლმეურნე, პენსიონერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 19 დეკემბერი.
№ 1029—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**326** **წითელი წყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **წითელი წყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 22 დეკემბერი.
№ 1033—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**327** **წითელი წყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და წითელი წყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**თარაშვილი** ილია ვლადიმერის ძე — კოლმეურნეობის მექანიზატორი.
**ლეკაშვილი** ნინო ივანეს ასული — კოლმეურნეობის კოლმეურნე.
**ლეკაშვილი** ელიოზ ივანეს ძე — კოლმეურნეობის კოლმეურნე.
**ყოჩიაშვილი** ნიკოლოზ სტეფანეს ძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
**ყოჩიაშვილი** ვლადიმერ ევგენის ძე — კოლმეურნეობის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 22 დეკემბერი.
№ 1032—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 328 ამხ. ე. ა. ბაბუნაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელენე აკაკის ასული **ბაბუნაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 დეკემბერი.
№ 1037—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 329 ამხ. რ. შ. გიორგობიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დამზადების, ხარისხის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სანიტარიული კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი ამხ. რევაზ შალვას ძე **გიორგობიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 დეკემბერი.
№ 1036—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 330 ამხ. რ. კ. ინანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი რევაზ კონსტანტინეს ძე ინანიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 დეკემბერი.

№ 1034—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 331 ამხ. გ. პ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მაღალკვალიფიციური შემოქმედებითი კადრების აღზრდის საქმეში წვლილისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გულნარა პეტრეს ასული ქართველიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 დეკემბერი.

№ 1035—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 332 ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იური ივანეს ძე ქედიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 31 დეკემბერი.
№ 1054—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 333 ამხ. ნ. გ. ანანიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა საბალეტო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტს ნინო გედეონის ასულ **ანანიაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი".**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 8 დეკემბერი.
№ 1002—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 334 საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

მუხ. 334
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

**აივაზაშვილს** შოთა კულას ძეს — თელავის რაიონის სოფ. სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარეს.

**ბიბილაშვილს** პეტრე დავითის ძეს — მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

**კვანტრიშვილს** ჰიჰიკო არჩილის ძეს — თეთრი წყაროს მცენარეთა დაცვის რაიონული სამმართველოს მთავარ აგრონომ-ინსპექტორს.

**კვაჭანტირაძეს** რევაზ დავითის ძეს — მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის დირექტორს.

**კობახიძეს** ნოდარ ლევანის ძეს — ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

**კობეშავიძეს** ვახტანგ სიმონის ძეს — საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკვები და შუალედური კულტურების განყოფილების გამგეს.

**ჩართოლანს** ლიანა გაბრიელის ასულს — მესტიის თესლეულისა და სანერგე მასალების ხარისხის რაიონული სახელმწიფო ინსპექციის უფროსს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ლორიას** ალბერტ აპოლონის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და ჩაის გადამუშავების მთავარი სამმართველოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინდუსტრიული წარმოების განყოფილების უფროსს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“

**გობეჩიას** ვახტანგ აკაკის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს ვეტერინარიული სახიტარიის განყოფილების უფროსს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი“

**მახათაძეს** შალვა ლეონტის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საწარმოო გაერთიანების უფროსის ყოფილ მოადგილეს — მთავარ ზოოტექნიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**

**ხუბუტიას რუსუდან** ანდრიას ასულს — მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სარეველებთან ბრძოლის განყოფილების გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.
№ 1013—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 335 მედიცინის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფსიქიატრიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“** მიენიჭოთ:

**კონტრიძეს** ფაიზულა მიხეილის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**მესტიაშვილს** მირიან გიორგის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.
№ 1014—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 336 მედიცინის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“** მიენიჭოთ მედიცინის მუშაკებს:

**გოგიჩაიშვილს** მზია სიმონის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-ფსიქიატრს.

**კონტრიძე-კოსტანდოვას** ზინაიდა არტემის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

**მამარდაშვილს** აბელ ფრიდონის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

**შარაშიძეს** გაიოზ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.

№ 1015—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 337 ამხ. კ. ი. გვარიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. კუკური ილიას ძე **გვარიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.

№ 1010—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 338 ამხ. გ. ს. კლიმიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გურამ სიმონის ძე **კლიმიაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.
№ 1012—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 339 ამხ. ქ. პ. ხაჟომიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ინსტიტუტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს ამხ. ქეთევან პავლეს ასულ **ხაჟომიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 დეკემბერი.
№ 1011—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 340 ამხ. ე. მ. თოფურიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორ-

კონტროლიორს ამხ. ეთერ მიხეილის ასულ **თოფურიას** მიენიჭოს საპატიო წო-დება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 დეკემბერი.
№ 1025—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 341 უმაღლესი განათლების სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და აქტიური საზოგა-დოებრივი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“**

**გოგიძეს** შალვა ივანეს ძეს — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორს.

**გოგიტიშვილს** რევაზ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სა-ხელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტე-ტის დეკანს.

**ლოლაძეს** ლამარა აკაკის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელო-ბის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს.

**მაკარიძეს** ვახტანგ იასონის ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტს.

**მაქაცარიას** გენადი ვალერიანის ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილეს.

**მახარაძეს** ელენე დიმიტრის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის უფროს მასწავლებელს.

**ცერცვაძეს** ლეილა ვიქტორის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის უფროს მასწავლებელს.

**„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“**

**ბაქრაძეს** თენგიზ არჩილის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 დეკემბერი.
№ 1040—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 342 ამხ. ბ. გ. ავალიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მოქანდაკე ბიძინა გიორგის ძე **ავალიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 დეკემბერი.
№ 1038—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 343 „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"** მიენიჭოთ:

**ბახტაძეს** სოსო გიორგის ძეს — მხატვარს.
**ხუციშვილს** ჯემალ ნიკოლოზის ძეს — მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

